საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-839

21/09/2020

ქ. თბილისი

შპს „ჯი ემ ჯის“ ქ. თბილისში მდ. მტკვარზე 11,26 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის ჰესის „დიღომი ჰესი“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „დიღომი ჰესზე“ გადაცემის შესახებ

2020 წლის 20 აგვისტოს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „ჯი ემ ჯის“ და შპს „დიღომი ჰესის“ დირექტორებმა. შპს „ჯი ემ ჯიმ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „დიღომი ჰესზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

შპს „ჯი ემ ჯის“ ქ. თბილისში მდ. მტკვარზე 11,26 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის ჰესის „დიღომი ჰესი“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 30 ივლისის №2-668 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ამასთან, „ქ. თბილისში მდ. მტკვარზე შპს „ჯი ემ ჯის“ 11,26 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის ჰესის „დიღომი ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 11 აგვისტოს №2-725 ბრძანებით გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი არ დაქვემდებარების შესახებ.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ჯი ემ ჯის“ ქ. თბილისში მდ. მტკვარზე 11,26 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის ჰესის „დიღომი ჰესი“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „დიღომი ჰესს“;
2. შპს „დიღომი ჰესმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №2-185 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა და ,,შპს ქ. თბილისში მდ. მტკვარზე შპს „ჯი ემ ჯის“ 11,26 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის ჰესის „დიღომი ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 11 აგვისტოს №2-725 ბრძანების შესაბამისად;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ჯი ემ ჯისა“ და შპს „დიღომი ჰესს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯი ემ ჯისა“ და შპს „დიღომი ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი